საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 6 ივნისს მხარი დაუჭირა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ ფარგლებში შეიმუშავებულ და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ შემდეგ კანონპროექტებს:

1. *„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი;*

   (კანონპროექტი ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის გზით ე.წ. ,,პირადი ნომრის“ მინიჭებას. აღნიშნული გულისხმობს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა იდენტიფიკაციის ახალ გამარტივებულ შესაძლებლობას პირადი ნომერით რეგისტრაციის გზით)

2. *„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი;*

   (კანონპროექტით დადგინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში) მოქმედი უკანონო ორგანოების მიერ გაცემული აქტების განხილვის შესაძლებლობის არა მხოლოდ პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დადგენის, პირის დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) პირის ლეგიტიმურად ცხოვრების ფაქტის დადგენისა და მისი რეგისტრაციის მიზნებისათვის)

3. *„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;*

   (კანონპროექტით შესაძლებელი გახდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში) არსებული უკანონო ორგანოების მიერ გამოცემული აქტის წარდგენა პირის დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების, ამ რეგიონებში პირის ლეგიტიმურად ცხოვრების ფაქტის დადგენისა და მისი რეგისტრაციის მიზნებისათვის)

4. *„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;*

   (კანონპროექტით გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, ისარგებლონ გადამხდელის სპეციალური სტატუსით (სპეციალური საწარმოს სტატუსით) ან გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე დარეგისტრირდნენ ჩვეულებრივ გადამხდელებად. ასევე შეეძლებათ ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით)

5. *„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;*

   (კანონპროექტით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი, ენიჭებათ ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის შესაძლებლობა)

6. *„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;*

(კანონპროექტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი, ანიჭებს გრანტის მიღების შესაძლებლობას)

7. *„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;*

(კანონპროექტით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი, ეძლევა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ზოგადი განათლების დაფინანსებით შესაძლებლობა)

8. *„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;*

(კანონპროექტით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს პირადი ნომერი და ამ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ექნება სახელმწიფო სასწავლო (მათ შორის სამაგისტრო) გრანტების მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს ეძლევათ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამარტივებული წესით ჩარიცხვის შესაძლებლობა. ასევე მარტივდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მოპოვების შესაძლებლობა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის გავლის საფუძველზე)

9. *საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს;*

(კანონპროექტი ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მცხოვრები პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეობის დადგენის გამარტივებულ წესს)